

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლა

## პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

„საშინაო დავლების სირთულეები და მათი აღმოფხვრის გზები „

გერმანული ენის უფროსი მასწავლებელი ჯულიეტა ჭეიშვილი

## სარჩევი

1.შესავალი.....	2
2.თემის აქტუალობა.....	2
3.პრობლემის ანალიზი.....	3
4.მიზანი.....	4
5.საკვლევი კითხვები.....	4
6.სამიზნე ჯგუფი.....	5
7. ლიტერატურის მიმოხილვა.....	5
8.კვლევის მეთოდები.....	12
9.მონაცემთა ანალიზი.....	13
10.ძირითადი მიგნებები.....	19
11.ინტერვენციები.....	20
12.ინტერვენციების შეფასება.....	21
13.დასკვნა.....	22
14.რეკომენდაციები.....	23
15. გამოყენებული ლიტერატურა.....	23
16.რეფლექსია.....	24
17.დანართი1.....	25
დანართი 2.....	26
დანართი 3.....	27
დანართი 4.....	28

## შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის საბაზო საფეხურზე განხორციელებული პრაქტიკული კვლევის ანგარიშს. კვლევის მიზანია, საბაზო საფეხურის კლასებში წერასთან (საშინაო დავალება) დაკავშირებული პრობლემური საკითხების გამომწვევი მიზეზების შესწავლა.

კვლევა მიმდინარეობდა 2018-2019 სასწავლო წლებში. კვლევის ანგარიშის შექმნამდე გავცანი საინტერესო და მრავალფეროვან ლიტერატურას , დაკვირვების შედეგად მოვახდინე პრობლემის იდენტიფიცირება და დავსახე გზები ამ პრობლემების შეძლებისდაგვარად აღმოსაფხვრელად. პირველ რიგში, შევიმუშავე კვლევის მეთოდები და შევეცადე მათ პრაქტიკულად განხორციელებას ,შევაფასე მათი ძლიერი და სუსტი მხარეები და მდგრადობა. ამავდროულად ,პერიოდულად რეკომენდაციებს ვიღებდი ჩემი კოლეგებისგან .

დასასრულს, შევხვდი ჩემს კოლეგებს და გავუზიარე კვლევის შედეგები.

კვლევის ანგარიშს თან ახლავს ბიბლიოგრაფია და დანართები.

## საკვლევი თემის აქტუალობა

თემა აქტუალურია იმიტომ,რომ კარგად ჩამოყალიბებული წერის უნარ-ჩვევები მოსწავლეს კრეატიულ და შემოქმედებით აზროვნებას უვითარებს.

საშინაო დავალების შესრულება იმდენად მნიშვნელოვანია სწავლების პროცესში,რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, თანაბარი წილი აქვს საკლასო და შემაჯამებელ დავალებებთან ერთად და შეფასების სისტემის ერთერთი ძირითადი კომპონენტია.მოსწავლეთათვის. საშინაო დავალების სწორად შერჩევა სწავლა-სწავლების პროცესის ერთერთი მნიშვნელოვანი ბერკეტია.

საქართველოში ჩატარებულმა კვლევებმა და ამ საკითხში ჩართულმა ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ ყოველ ახალ დავალებას მოსწავლე ახალ ნიშნულამდე უნდა აჰყავდეს, უნდა ზრდიდეს მის ცნობისმოყვარეობას. შესრულებული დავალების

ხარისხი გაცილებით მაღალი იქნება ,თუ მოსწავლეებს აქტიურად ჩავრთავთ დავალების შერჩევას.

თემა აქტუალურია იმიტომ, რომ მოსწავლეები დაწყებით საფეხურზე აქტიურად არიან ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში, ასრულებენ აქტივობებს გაკვეთილზე,სურთ ბევრ აქტივობაში მიიღონ მონაწილეობა,არ ეზარებათ საშინაო დავალების შესრულება.ხოლო საბაზო საფეხურზე ეს აქტიურობა საგრძნობლად იკლებს.მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი სასწავლო წლის მანძილზე პასიურია გაკვეთილზე, ეზარებათ საშინაო დავალების მომზადება.რთულდება მოსწავლეების გაკვეთილით დაინტერესება და მათი აქტიურად ჩართვა საგაკვეთილო პროცესში.რაც საგრძნობლად აისახება საშინაო დავალების შესრულებაზე.ისინი ზედაპირულად ეკიდებიან სასწავლო პროცესს.ყოველივე ეს აისახება მათ აკადემიურ მიღწევებზე. პრობლემა პრობლემად რჩება.მოსწავლეთა უმეტესობა დაბალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევა,მათ არ გააჩნიათ სწავლისადმი არც შინაგანი და არც გარეგანი მოტივაცია, დაინტერესებაც ნაკლებია,რამდენად სწორად და ხარისხიანად იქნება საშინაო დავალება შესრულებული.

ეს არ არის რომელიმე კონკრეტული საგნის პრობლემა,არამედ ზოგადი ტენდენციაა. ნებისმიერი საგნობრივი კომპენტენცია გულისხმობს, რომ მოსწავლე დამოუკიდებლად უნდა ახერხებდეს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას,მისი ცოდნა უნდა აისახებოდეს საშინაო დავალების შესრულების ხარისხზე, რაც სწავლა-სწავლების პროცესში მეტად მნიშვნელოვანია. მასწავლებელი ყოველთვის ცდილობს მოსწავლეს ასწავლოს არა მარტო კონკრეტული მასალა, არამედ ის, თუ როგორ შეძლოს მისი სწავლა.

თემა აქტუალურია იმიტომ ,რომ საშინაო დავალების შეუსრულებლობა წინაპირობაა იმისა, რომ მიზნის მიღწევა არც ისე იოლი იქნება. სწავლა ხომ მუდმივი პროცესია ჩვენი ცხოვრებისა, ამიტომ საჭიროა, ჯერ მასწავლებელი გაერკვიოს პრობლემის არსში, გამოკვეთოს პრობლემა, რა უშლით ხელს საშინაო დავალების შესრულება/არ შესრულებაში. შემდეგ დასახოს გზები, საშუალებები და სხვადასხვა აქტივობები, რათა მოსწავლეს გაუადვილდეს მიცემული დავალების ხარისხიანად შესრულება.

აქედან გამომდინარე ვფიქრობ საკვლევი თემა მეტად აქტუალურია.

## **პრობლემის ანალიზი**

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის განმავლობაში გამოიკვეთა საკვლევი პრობლემა , რომელიც შეეხებოდა საბაზო საფეხურზე საშინაო დავალების შეუსრულებლობას. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფი, ზოგადად კარგი აკადემიური მოსწრებით გამოირჩეოდა , მოსწავლეთა ერთი ნაწილი არ იყენებდა თავის შესაძლებლობებს, აქტიურად არ ერთვებოდა საგაკვეთილო პროცესში და არ ასრულებდა საშინაო დავალებას.

პრობლემის გადაჭრისა და სათანადოდ მოგვარების მიზნით , შევიკრიბეთ ის მასწავლებლები , რომლებიც VII კლასს ვასწავლიდით და შევიმუშავეთ რამდენიმე კრიტერიუმი. . ერთ-ერთ კრიტერიუმად დავისახეთ საშინაო დავალების სწორად შერჩევა, რასაც აუცილებლად გავითვალისწინებდით.. სხვა მიდგომებთან ერთად პრობლემის გადაჭრის გზად მივიჩნიეთ აგრეთვე საშინაო დავალების სისტემატიურად შემოწმება .

შემუშავებული რეკომენდაციებით საგაკვეთილო პროცესის წარმართვა და მასზე დაკვირვება დავიწყე სასწავლო წლის მეორე ნახევარში. საშინაო დავალებას სისტემატიურად და ყურადღებით ვამოწმებდი, თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ ზოგიერთი მოსწავლე დავალებას მოვალეობის მოხდის მიზნით ასრულებდა, ანუ სხვა მოსწავლისგან იწერდა. ამიტომ, გადავწყვიტე მეპოვა ის გზები და მიზეზები, რის გამოც არ ასრულებდნენ მოსწავლეები საშინაო დავალებას. ამისათვის შევიტანე სხვადასხვა სახის დიაგნოსტიკური ტესტები, რათა გამერკვია რომელი სახის დავალებები უადვილდებოდათ. მოვიძიე და გავეცანი ლიტერატურას და შევადგინე სამოქმედო გეგმა.

## **კვლევის მიზანი**

VII კლასში საშინაო დავალების შესრულებასთან დაკავშირებული სირთულეების მთავარი მიზეზების დადგენა და პრობლემის გადაჭრის გზების ძიება.

### **კვლევის მთავარი კითხვა**

- რა არის მიზეზი საშინაო დავალებების შეუსრულებლობისა ?
- როგორ დავძლიოთ აღნიშნული პრობლემა.?

### **საკვლევი კითხვები**

- არის თუ არა აუცილებელი საშინაო დავალების შესრულება
- ითვალისწინებს თუ არა მასწავლებელი მოსწავლეთა ინდივიდუალურ და ასაკობრივ თავისებურებებს

- ამოწმებს თუ არა მასწავლებელი ყოველ გაკვეთილზე საშინაო დავალებას.
- აძლევს თუ არა მასწავლებელი მოსწავლეებს ინსტრუქტაჟს.
- აცნობს თუ არა მასწავლებელი მოსწავლეებს საშინაო დავალების შეფასების სქემებს.
- ხომ არ იწერენ მოსწავლეები ერთმანეთისგან საშინაო დავალებებს.

## სამიზნე ჯგუფი

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ქვიტირის საჯაროს სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლეები.

## ლიტერატურის მიმოხილვა

საშინაო დავალება, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ზოგადი განათლების საფეხურზე, სწავლების სავალდებულო ნაწილია. მისი შესრულება მოსწავლეთა ყოველდღიური პასუხისმგებლობაა. თუმცა არის ქვეყნები, სადაც საშინაო დავალება იკრძალება ან იზღუდება ქვეყნის საგანმანათლებლო პოლიტიკით, ან რეგულირდება შიდა-სასკოლო პოლიტიკით.

რამ განაპირობა საშინაო დავალების ფენომენისადმი ამდენად განსხვავებული დამოკიდებულება სხვადასხვა ქვეყნის სასკოლო განათლების სისტემაში? არსებობს თუ არა ისეთი მიდგომები, რომლებსაც გამოკვეთილად დადებითი გავლენა შეიძლება ჰქონდეს სწავლის ეფექტიანობაზე? რა მტკიცებულებებს გვთავაზობს ჩატარებული კვლევები? გვაქვს თუ არა საკმარისი მტკიცებულებები სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად?

პირველ რიგში, განვსაზღვროთ, თუ რა ასპექტებზე შეიძლება მოახდინოს გავლენა საშინაო დავალებამ. მოსწავლის დაინტერესება, მოტივაცია, დამოუკიდებლად მუშაობის უნარი, პასუხისმგებლობის გრძნობა, კლასგარეშე მუშაობის უნარი და ცოდნის გამყარება/აპლიკაცია/რეალურ კონტექსტში წარმოდგენა, საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობა და ჩართულობა – აი, ის ასპექტები, რომლებზეც საშინაო დავალებამ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გავლენა შეიძლება მოახდინოს. საშინაო დავალების უარყოფითი გავლენა შეიძლება გამოიხატოს მოსწავლეების მიერ გადაწერასა და პლაგიატიზმში.

მასწავლებლისთვის საშინაო დავალება შესწავლილი მასალის გამყარების, სასწავლო გეგმის სრულყოფილად დაფარვის, ჯგუფის პროგრესის შეფასების ეფექტური საშუალება შეიძლება იყოს, თუმცა, მეორე მხრივ, ის დამატებით სამუშაო საათებად,

თავსატეხად და მოსწავლეების უკმაყოფილების საბაზად შეიძლება გადაიქცეს. საშინაო დავალების გამო, ალბათ, არაერთ მოსწავლესა და მშობელს შორის, ან მასწავლებელსა და მშობელს შორის წარმოშობილა კონფლიქტი. დადებით ჭრილში, მშობლისთვის საშინაო დავალება შეიძლება განვიხილოთ შვილის აკადემიური პროგრესის მონიტორინგის, სასწავლო პროცესში ჩართვის შესაძლებლობად. საშინაო დავალება მშობელს ინფორმაციას აწვდის ბავშვის აკადემიური განვითარების, მის წინაშე მდგომი სირთულეების და მისი წარმატებების შესახებ.

მოსწავლეთა პრაქტიკული მეცადინეობა უპირველესად საშინაო დავალების შესრულებაზეა აგებული. იგი აფართოებს სწავლის შესაძლებლობებს და აიძულებს მოსწავლეს, შინაც არ შეწყვიტოს სწავლის პროცესი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან გაკვეთილზე, რაც უნდა კარგად ჩატარდეს იგი, ხდება მასალის ხანმოკლე დამახსოვრება. ხანგრძლივ მეხსიერებაში ცოდნის გადატანას განმეორება ანუ გარკვეული სახის სამუშაო სჭირდება, ამ როლს კი მეტწილად საშინაო დავალება ასრულებს. ვინაიდან გაკვეთილზე ათვისებული მასალა უახლოესი 10-12 საათის განმავლობაში ინტენსიურად “გვავიწყდება”, სასურველია, საშინაო დავალება იმ დღესვე შესრულდეს – მასალის გაგებიდან პირველი საათის განმავლობაში გვახსოვს მხოლოდ 40%, 2-2,5 საათის შემდეგ – 28%. ასე რომ, საშინაო დავალება საშუალებას გვაძლევს, ცოდნა ოპერატიული მეხსიერებიდან ხანგრძლივ მეხსიერებაში გადავიტანოთ. ამ დროს მოსწავლის ცოდნა და უნარი თანაბრდება (ეს განსაკუთრებით მაშინ შეიმჩნევა, როცა მასალის ათვისებაში დიდი ჩავარდნაა, მაგალითად, გაცდენის გამო).

საშინაო დავალების სწორი ორგანიზებისთვის საჭიროა, მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული დავალების მიზანი (დავალების მიზნის განსაზღვრა, შინაარსის შერჩევა მიზნის შესაბამისად ანუ ორგანიზების ფორმის შერჩევა), ფუნქციები, შინაარსი, დავალების კონტროლის მექანიზმი (გააერთიანონ ყველა რესურსი მოცემული დავალების შესასრულებლად, განახორციელონ კონტროლი – გარკვეული საკორექციო სამუშაო მიზნის მისაღწევად და თვითკონტროლიც – კორექციისთვის), საშინაო დავალების ორგანიზაციის საშუალებები, პირობები და მოტივაცია (დავალების შესრულების აუცილებლობის გაგება). დავალების შესრულება ანუ ცოდნის შექმნა პიროვნული ხასიათის პროცესად უნდა იქცეს. ამით მოსწავლეს შეეძლება ცოდნა გადააქციოს შემეცნების ინსტრუმენტად, რაც უაღრესად დადებით გავლენას მოახდენს. გათვალისწინებული უნდა იქნეს მოზარდის უნარები და ინტერესები, მისი ინდივიდუალური შესაძლებლობებიც (.mastsavlebeli.ge).

უზნაძე აღნიშნავს (2003), რომ სწავლის პროცესში ძირითადი მნიშვნელობა აქვს განსაზღვრული მიმართულებით მოსწავლის ძალების განვითარებას. “სწავლაში ძირითადი ჩვევა და ცოდნა როდია, არამედ იმ ძალების განვითარება, რომლებიც სწავლის პროცესში ღებულობენ მონაწილეობას“ (დ. უზნაძე, 2003, გვ. 415). ამ ძალების განვითარებისათვის კი საჭიროა მასწავლებელმა შეაფასოს მოსწავლე და უჩვენოს მას საკუთარი შესაძლებლობების სრულყოფის გზა.

სხვადასხვა ქვეყანას განსხვავებული მოსაზრებები აქვთ საშინაო დავალების მცნებასთან დაკავშირებით.

განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში სკოლის მოსწავლეებს საშინაო დავალებებს არ აძლევენ, რადგან მიიჩნევენ, რომ ეს არაეფექტურია.

პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი ჯერალდ კეი ლეტენდრე (Gerald K. LeTendre) კოლეგებთან ერთად ბოლო ათწლეულების განმავლობაში სწავლობდა, თუ როგორ აისახება ბავშვების განათლების დონესა და მოსწრებაზე საშინაო დავალების მოცულობა.

რეზიუმე:

ვფიქრობ, საშინაო დავალების მიცემა მოსწავლეებისთვის აუცილებელია, რადგან საშინაო დავალება ერთმანეთთან აახლოებს როგორც მოსწავლესა და მასწავლებელს, ისე მოსწავლესა და მშობლებს, რადგანაც მათ ეძლევათ საშუალება თავიანთი წვლილი შეიტანონ ბავშვის განვითარებაში. მშობელს ეძლევა საშუალება აკონტროლოს შვილის განათლება და თუ კი საჭიროებას დაინახავს, დაეხმაროს მას. თუმცა საშინაო დავალების ეფექტიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მის ფორმასა და მოცულობაზე. მოსწავლეებს სჭირდებათ დავალება, რომელიც იმდენად საინტერესო იქნება, რომ არ დაიზარებენ და მოუხდებთ მის შესასრულებლად თავიანთი მაქსიმუმი გააკეთონ, რომ ერთი სული ექნებათ სახლში მალე მივიდნენ, მოიძიონ ახალი ინფორმაცია და თავიანთი აზრი დააფიქსირონ, და ამავე დროს, დავალება მოცულობით შედარებით მცირე უნდა იყოს, რათა მოსწავლეებს მთელი თავიანთი დროის დახარჯვა დავალებაზე არ მოუწიოთ (როგორც ეს ხშირად ბრიტანულ სკოლებში ხდება) და სხვა აქტივობებისთვისაც დარჩეთ დრო, რაც მათი განვითარებისთვის აგრეთვე აუცილებელია, მაგალითად თუ მოსწავლეები მუდმივად წიგნებში იქნებიან ჩაფლული, მათ აღარ ექნებათ საშუალება ითამაშონ თანატოლებთან ერთად (რაც მათ სამყაროს შემეცნებაში ეხმარებათ) ან გააცნობიერონ საკუთარი და სხვისი ემოციები, რომელთა გაუცნობიერებლობაც მათში ე.წ. „ემოციური ინტელექტის „ დაქვეითებას გამოიწვევს.

ზოგიერთი მასწავლებელი მოსწავლეებს სახლში შესასრულებლად უამრავ დავალებას აძლევს. ეს ეხება უშუალოდ ტექნიკურ საგნებს (მათემატიკა, ფიზიკა) და არ ითვალისწინებენ იმას, რომ მოსწავლეებს სხვა საგანშიც აქვთ საშინაო დავალება. დავალების სიმრავლის გამო, მოსწავლეები ვერ ასწრებენ ყველა საგანში დავალების შესრულებას, და შესაბამისად, იძულებულნი არიან მეორე დღეს გადაიწერონ. ამ დროს, მოსწავლეები ფიქრობენ, რომ მთავარია დავალება წარმოადგინონ და



შედეგსა და ხარისხზე არ ფიქრობენ. ხშირად ხდება ისეც, რომ მასწავლებელი მიცემულ დავალებას არ ამოწმებს, რაც მოსწავლეებში მოტივაციის დაქვეითებას იწვევს.

სტატისტიკის თანახმად, ყველაზე ბევრ საშინაო დავალებას აძლევენ ბავშვებს სუსტი ეკონომიკისა და აშკარად გამოხატული სოციალური უთანასწორობის მქონე ქვეყნებში. თუმცა არ არის არანაირი მტკიცებულება იმისა, რომ დატვირთვის ასეთი დონე პოზიტიურ გავლენას ახდენს აკადემიურ მოსწრებასა და განათლებაზე. უკავშირდება თუ არა საშინაო დავალება და მაღალი მოსწრება ერთმანეთს? პასუხი ნათელია — არა. მთლიანობაში, მსოფლიოში საშინაო დავალება მაღალ აკადემიურ მოსწრებაზე არანაირ გავლენას არ ახდენს.

რეზიუმე:

ვფიქრობ, შეკითხვაზე არის თუ არა საშინაო დავალება ეფექტური და აისახება თუ არა იგი მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე, პასუხის გადაჭრით გაცემა არ შეგვიძლია. უმეტეს შემთხვევაში, საშინაო დავალება მოსწავლეს აძლევს საშუალებას გამოცდილება მიიღოს, ცოდნა შეიძინოს (ან აწ უკვე მიღებული ცოდნა განიმტკიცოს) და განივითაროს ისეთი მნიშვნელოვანი თვისება, როგორც პასუხისმგებლობის გრძნობა. „თუ მოსწავლე ჩართულია სწავლის პროცესში, ის მნიშვნელოვან ძალისხმევას იჩენს დავალების შესრულებისას, ზრუნავს შესრულებული დავალების ხარისხზე. შესრულებულ სამუშაოს მისთვის დიდი ღირებულება აქვს „(Newmann, 1986).

ეს მართლაც ასეა. მოსწავლე მნიშვნელოვან ძალისხმევას ახმარს საშინაო დავალების შესრულებას, ცდილობს, რომ იგი ყოველ ჯერზე წინანდელთან შედარებით უკეთესად შეასრულოს და საბოლოოდ მივიდეს იმ ეტაპამდე, როდესაც მისი დავალება სრულყოფილი, ყოველმხრივ გამართული იქნება. ამ დროს მოსწავლე იხვეწება, ახალ ცოდნას და უნარებს იძენს და ვითარდება. ეს მას პოზიტიურად განაწყობს სკოლისა და სასწავლო პროცესისადმი და აძლევს მოტივაციას, რომ მეტი ცოდნა შეიძინოს.

განათლების სპეციალისტებს, ექსპერტებსა და პოლიტიკის შემმუშავებლებს შორის აზრთა სხვადასხვაობას ვხვდებით. საშინაო დავალების თემაზე ჩატარებული კვლევების შედეგებიც განსხვავებულია. ერთნი თვლიან, რომ საშინაო დავალება მოსწავლეთა შორის უთანასწორობის გამძაფრებას უწყობს ხელს, რადგან დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენელ ბავშვებს იმის შესაძლებლობა არა აქვთ, რომ მშობლები დაეხმარონ დავალების შესრულებაში, არა აქვთ იზოლირებული და

კომფორტული სამუშაო სივრცე სახლში, ტექნოლოგიური საშუალებები (კომპიუტერი, ინტერნეტი), რომელთა გამოყენებასაც, დღეს ხშირად ითვალისწინებს საშინაო დავალების ფორმატი. ექსპერტთა მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ საშინაო დავალება სწორედ მოსწავლეების ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენის, ინდივიდუალური მუშაობის სწავლის და მოსწავლის მიერ მუშაობის სასურველი ტემპის შერჩევის შესაძლებლობებს გვთავაზობს.

რეზიუმე:

ვფიქრობ მნიშვნელოვანია მოსწავლეს მივცეთ ისეთი დავალება, რომელიც ინტერნეტის გამოყენების საჭიროებას მინიმუმამდე შეამცირებს. საშინაო დავალების მთავარი მიზანი ისაა, რომ მოსწავლეს მაქსიმალურად განუვითარდეს კრეატიული აზროვნების უნარი და თავისი ინდივიდუალური შესაძლებლობები ბოლომდე გამოავლინოს, რაშიც ინტერნეტი ნამდვილად ვერ გაუწევს მნიშვნელოვან დახმარებას. ვფიქრობ საშინაო დავალებები უფრო მეტად პრაქტიკული უნდა გახდეს, მაგალითად, რატომ უნდა ეძებდეს მოსწავლე წითელგულას მახასიათებლებს ინტერნეტში, როდესაც შეუძლია გარეთ გავიდეს და თავად დააკვირდეს ამ ჩიტის გარეგნულ მონაცემებსა და ქცევას? რატომ უნდა გადათარგმნოს წინადადებები ინტერნეტის მეშვეობით, როდესაც ეს მას არავითარ ცოდნას არ შესძენს და სიტყვების ლექსიკონში მოძებნა კი ბევრად უფრო ეფექტური იქნება ამ მხრივ. .

საშინაო დავალებამ მოსწავლე ვალდებული უნდა გახადოს შემოქმედებითად, კრეატიულად იფიქროს, პასუხები თავად იპოვოს და სამყარო საძიებო სისტემების გარეშე შეიმეცნოს. რა თქმა უნდა, ინტერნეტის გამოყენებაც მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში, მაგრამ არა დიდი დოზით. მოსწავლე თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს უნდა ავლენდეს, ცდებს უნდა ატარებდეს, პასუხების ინტერნეტში პოვნა კი ყველას შეუძლია. ინტერნეტის საჭიროების შემცირება ზემოთხსენებულ სოციალური უთანასწორობის პრობლემასაც მარტივად აღმოფხვრის, რადგან მთავარი მოსწავლის გონება იქნება და არა ის, აქვს თუ არა წვდომა ინტერნეტთან.

როდესაც მოსწავლეს საშინაო დავალებას ვაძლევთ, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მოსწავლეს ნათლად და მკაფიოდ განუვმარტოთ რის გაკეთებას მოვითხოვთ მისგან.თუ მოსწავლეს არ ექნება ეფექტური ინსტრუქციები, დიდია იმის ალბათობა, რომ ის ან უხარისხოდ შეასრულებს დავალებას, ან საერთოდ დავალების გარეშე გამოცხადდება სკოლაში. დავალების შეუსრულებლობა ყოველთვის არ

ნიშნავს იმას, რომ მოსწავლემ უყურადღებობა და უპასუხისმგებლობა გამოიჩინა ან იზარმაცა, სრულიად შესაძლებელია, რომ მოსწავლემ უბრალოდ ვერ გაიგო როგორ უნდა შეესრულებინა საშინაო დავალება. ამიტომაც მაქსიმალურად ვცდილობ მოვახდინო ბავშვების მიერ შესრულებული დავალებების ანალიზი და გამოვყო პრობლემები, გავარკვიო ყველაზე მეტად რა გაუჭირდათ და შედეგად მივხვდე, თუ ჩემი ინსტრუქციის რომელი ნაწილი იყო მათთვის ყველაზე ბუნდოვანი და ძნელად აღსაქმელი, (თუმცა ჩემი აზრით, მიუხედავად მკაფიო ინსტრუქციების მიცემისა, მოსწავლეს მაინც უნდა დავუტოვოთ მცირედი ინტრიგა, რაც გაამძაფრებს მის სურვილს თავად იპოვოს პასუხები. ეს ძალიან სასარგებლოა მოსწავლეებისათვის, რადგან დავალება, რომელზეც პასუხს თავად პოულობ უფრო უკეთ გამახსოვრდება) აგრეთვე გავარკვიო ისიც, თუ რამდენად მაღალი იყო მშობლების ჩართულობის ხარისხი საშინაო დავალების შესრულებაში. მშობლებმა უნდა იცოდნენ, თუ დღის რომელ მონაკვეთშია ბავშვის გონება ყველაზე აქტიური და ეცადონ, რომ ბავშვმა სწორედ დღის ამ მონაკვეთში შეასრულოს საშინაო დავალება.

### **რა თავისებურებებს ვხვდებით სხვადასხვა ქვეყნებში?**

ზოგიერთ ქვეყანაში საშინაო დავალებებს იმ მოსწავლეებს აძლევენ, რომლებიც ამას ყველაზე მეტად საჭიროებენ. სხვა ქვეყნებში ბავშვებს საშინაო დავალება დამატებითი ვარჯიშისათვის ეძლევათ. ამის გამო, კვლევები საშინაო დავალების ეფექტურობის შესახებ შერეულ შედეგებს გვაწვდის (Cooper, Robinson & Patall, 2006; Trautwein, 2007).

ინგლისში ეროვნული სასწავლო გეგმით არის განსაზღვრული საშინაო დავალებისთვის რეკომენდირებული საათები. უელსში თვლიან, რომ საშინაო დავალების მოცულობა ეროვნული პოლიტიკით რეგულირებული კი არ უნდა იყოს, არამედ უნდა შემუშავდეს თითოეული სკოლის მიერ. საფრანგეთში ახალი გადაწყვეტილების მიხედვით, დავალებებს მოსწავლეები სკოლაშივე, აკადემიური საათების დასრულების შემდეგ, დახმარე გაკვეთილებზე ასრულებენ.

გერმანიაში ამ საკითხთან დაკავშირებით მეტ-ნაკლებად განსხვავებული მიდგომა აქვთ. სკოლების უმრავლესობაში ბავშვებს პირველივე დღიდან აქვთ საშინაო დავალება შესასრულებელი, თუმცა აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ რამდენიმე სკოლამ გერმანიაში საშინაო დავალება აკრძალა.

იაპონიაში აკადემიური სწავლება დღეში ექვს საათს გრძელდება. იაპონელ მოსწავლეებს დავალება ყოველდღიურად აქვთ შესასრულებელი, არდადეგების ჩათვლით.

აშშ-ში საშინაო დავალება მხოლოდ 1950-იან წლებში გახდა სავალდებულო. სკოლის მოსწავლეების მიმართ მოლოდინები გაიზარდა და ქვეყანამ მიზნად დაისახა

რეზიუმე: ვფიქრობ ,გერმანიის მოდელი საკმაოდ ეფექტური იქნება თუ თავდაპირველად მოსწავლეებს მცირე დოზით მიაწვდიან საშინაო დავალებას.ასე ისინი თავიდანვე გაიაზრებენ საკუთარ პასუხისმგებლობას და ახალ გარემოს უკეთ მიეჩვევიან. რაც შეეხება იაპონიას, ვფიქრობ მიდგომა ,რომ მოსწავლეებს საშინაო დავალებას არდადეგებზეც აქვთ შესასრულებელი არასწორია, რადგან არდადეგებზე მოსწავლეებმა უმჯობესია დაისვენონ, გაერთონ და ძალები აღიდგინონ, უკეთ მოემზადონ ახალი სემესტრისათვის .

### **რა ხდება ამ მხრივ საქართველოში?**

საშინაო დავალების შესრულება იმდენად მნიშვნელოვანია სწავლების პროცესში,რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, თანაბარი წილი აქვს საკლასო და შემაჯამებელ დავალებებთან ერთად და შეფასების სისტემის ერთერთი ძირითადი კომპონენტია.მოსწავლეთათვის საშინაო დავალების სწორად შერჩევა სწავლა-სწავლების პროცესის ერთერთი მნიშვნელოვანი ბერკეტია. მოსწავლე სასწავლო პროცესის მთავარ კომპონენტს უნდა წარმოადგენდეს.მიცემული დავალება მოსწავლის ინდივიდუალურ სენსორულ-მოტორულ საჭიროებებთან შეთანხმებით უნდა შეირჩეს.საშინაო დავალების შინაარსი და თემატიკა მოსწავლის ყოფით სიტუაციებსა და მის ცხოვრიბისეულ გამოცდილებას უნდა ეხმიანებოდეს.

საქართველოში ჩატარებულმა კვლევებმა და ამ საკითხში ჩართულმა ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ ყოველ ახალ დავალებას მოსწავლე ახალ ნიშნულამდე უნდა აჰყავდეს, უნდა ზრდიდეს მის ცნობისმოყვარეობას. შესრულებული დავალების ხარისხი გაცილებით მაღალი იქნება ,თუ მოსწავლეებს აქტიურად ჩავრთავთ დავალების შერჩევის ,ორგანიზებისა და შეფასების პროცესში ან დავალების შემოწმებისას ჩავატაროთ კვლევა, რა გაუჭირდათ- რამდენ მოსწავლეს , რა შეასრულეს კარგად - რამდენმა მოსწავლემ, რა ვერ შეასრულეს- რამდენმა მოსწავლემ . ეს კი უფრო ნათლად დაგვანახებს მივალწიე თუ არა მიზანს, ან რას შევცვლიდი მის გასაუმჯობესებლად.

საშინაო დავალების შესრულება მოსწავლეს ჩვევაში უნდა გადაეზარდოს, რათა განამტკიცოს მიღებული ცოდნა დავალების შესრულების დროს.

## კვლევის მეთოდები

კვლევის სანდოობის გაზრდის მიზნით, მონაცემთა შეგროვებს მეთოდებად გამოვიყენე ანკეტირება, ფოკუს-ჯგუფი, მეორადი მონაცემების ანალიზი, ფოკუსირებული დაკვირვება გაკვეთილზე.

**ფოკუს ჯგუფი** ჩატარდა VII კლასში შემსვლელ იმ მასწავლებლებთან, რომელთა საგნებშიც აუცილებლობას წარმოადგენს საშინაო დავალების შესრულება (ინგლისური, მშობლიური ენა, ისტ, მათემატიკა...) ფოკუს ჯგუფის მიზანი გახლდათ ის, რომ დამედგინა რამდენად სწორად მიაჩნდათ ჩემს მიერ გამოყენებული საშინაო დავალებების ფორმა(იხ.დანართი1). მასწავლებელთა უმეტესობამ აღნიშნა, რომ ისინიც უმეტესად ერთი სახის(ტესტურ) დავალებებს იყენებდნენ ორი მთავარი მიზეზის გამო:

- ✓ მოსწავლეები ტესტურ დავალებებს უფრო მარტივად ასრულებდნენ, რადგან რამდენიმე სავარაუდო პასუხის მიწოდება მათ საშუალებას აძლევს ფიქრის არეალი შეავიწროვონ და პასუხამდე უფრო მარტივად მივიდნენ
- ✓ სხვადასხვა ტიპის დავალებების შესრულება უფრო მეტ დროს მოითხოვს, რასაც იმის გათვალისწინებით, რომ მოსწავლეებს კიდევ რამდენიმე საგანში აქვთ საშინაო დავალება შესასრულებელი, ყველა მოსწავლე ერთნაირად ვერ მოახერხებდა.

**ანკეტირება** ჩავატარე VII კლასის მოსწავლეებთან და მშობლებთან.(იხ.დანართი 2/3) ანკეტირების მიზანი იყო იმის გარკვევა, ეცნობიან თუ არა მშობლები თავიანთი შვილის საშინაო დავალებას, იცნობენ თუ არა საშინაო დავალების შეფასების რუბრიკებს და ეხმარებათ თუ არა მასწავლებლის მიერ მიცემული უკუკავშირი.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ათმა მშობელმა და ამდენივე მოსწავლემ. . მოსწავლეებს კითხვარები გავატანე სახლში. კითხვარის ეს ფორმა გამოვიყენე იმიტომ, რომ ყველაზე ეფექტურად მივიჩნიე (სხვა რესურსების შეზღუდულობის გამო) მათ ჰქონდათ ორი-სამი დღე კითხვარის შესავსებად და უკან დასაბრუნებლად. მოსწავლეებს და მშობლებს დროის ამ მონაკვეთში შეეძლოთ ყურადღებით შეევესოთ კითხვარი. კითხვარზე პასუხების მიღების შემდეგ, ზოგადი წარმოდგენა შემექმნა საშინაო დავალების შესრულების დაბალ შედეგებთან დაკავშირებით.

**ინტერვიუ კლასის დამრიგებელთან** განხორციელდა წინასწარ მომზადებული კითხვების საშუალებით. მასთან გასაუბრებამ საშუალება მომცა გამეგო მისი

შეხედულება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით და აგრეთვე, პასუხები მიმელო რამდენიმე მნიშვნელოვან კითხვაზე, კერძოდ, რამდენად იყვნენ მშობლები ჩართულნი თავიანთი შვილების საშინაო დავალების შესრულების პროცესში და თუ როგორ სოციალურ გარემოში უხდებოდათ ბავშვებს ცხოვრება.

## **ფოკუსირებული დაკვირვება გაკვეთილზე**


იმისათვის, რომ გამეგო თუ რა სიხშირით ასრულებდნენ მოსწავლეები საშინაო დავალებას, როგორი იყო საშინაო დავალების შესრულების ხარისხი, რა ტიპის საშინაო დავალებებს აძლევდნენ სხვა საგნის მასწავლებლები (ურჩევდნენ თუ არა მრავალფეროვან დავალებებს), წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების დახმარებით, დაკვირვების დღიურში ვინიშნავდი მონაცემებს, რათა შემდგომში გამეანალიზებინა მიღებული შედეგები.

## **მონაცემთა ანალიზი**

როგორც უკვე აღვნიშნე, კვლევა მიმდინარეობდა სხვადასხვა მიმართულებით და შევეცადე შეფასების პროცესთან დაკავშირებული მხარეების (მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე) აზრის გაგებას. ამ თავში განხილულია მონაცემთა შეგროვების თითოეული მეთოდის გამოყენებით მიღებული მნიშვნელოვანი ანალიზი.

ფოკუს-ჯგუფის შედეგების ანალიზისას გამოვლინდა, რომ VII კლასის მშობელთა უმეტესობისთვის მისაღებია საშინაო დავალების ტესტური ფორმა, რაც მათი აზრით, უპირველესად, უზრუნველყოფს მოსწავლეთა მომზადებას შემაჯამებელი დავალებების უკეთ შესრულებისთვის. აგრეთვე, თანამედროვეობის მოთხოვნა ყველა სფეროში- ტესტური გამოცდაა და ასეთი ტესტები ხელს შეუწყობს მოსწავლეებს საჭირო უნარების განვითარებაში.

მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგად, თუ რა ტიპის საშინაო დავალებებს იყენებენ, აღმოჩნდა, რომ უმრავლესობა იყენებს ტესტურს( ინგლისური, ისტი, ხელოვნება, მუსიკა, მათემატიკა)




**კვლევის პირველადი მონაცემების ანალიზის შედეგები.**

პირველადი მონაცემების ანალიზის შედეგად ნათელი გახდა, რომ VII კლასის მოსწავლეები ,მშობლები, კლასის მასწავლებლები და დამრიგებელი აღიარებდნენ არსებულ პრობლემას და აღნიშნავდნენ, რომ ეს მხოლოდ ერთი საგნის პრობლემას არ წარმოადგენს. აგრეთვე ასახელებდნენ განსხვავებულ გამომწვევ მიზეზებსაც.

მას შემდეგ, რაც შევჯერდით, რომ პრობლემა ნადვილად არსებობს და ვგსურს მისი მოგვარება, VII კლასის მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები გამოვიტხე კითხვარების მეშვეობით .


**მოსწავლეთა გამოკითხვის პირველადი მონაცემების შედეგები ასეთი იყო:**

1.ეცნობით თუ არა საშინაო დავალების შეფასების რუბრიკებს?




2. გეხმარებათ თუ არა მასწავლებლის უკუკავშირი აკადემიური დონის განსაზღვრაში?






3. ტესტური ტიპის საშინაო დავალებები მომწონს იმიტომ, რომ




## მშობელთა გამოკითხვის შედეგები :


რა ტიპის საშინაო დავალება უნდა მიეცეს თქვენს შვილს გერმანულ ენაში?




2.ეხმარებით თუ არა თქვენს შვილს საშინაო დავალების შესრულებაში?



3. მიგაჩნიათ თუ არა საშინაო დავალება აუცილებელ აქტივობად?



4. საშინაო დავალების შესრულებისას, მოიძიებს თუ არა თქვენი შვილი დამატებით ინფორმაციას?



### ძირითადი მიგნებები :

მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება (სავარაუდოდ პრობლემის შესაძლო გამომწვევი ფაქტორები ), რაც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ .

- 1.საშინაო დავალების დოზირება
- 2.მრავალფეროვანი საშინაო დავალება
3. გათვალისწინებული უნდა იქნას მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შესაძლებლობები.
4. მიცემული დავალება გაკვეთილზე აუცილებლად უნდა შემოწმდეს და შეფასდეს
- 5.დავალება არ უნდა იყოს ზედაპირული. იგი ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის განმტკიცებას.

6. მშობლები შედარებით ნაკლებად არიან ჩართულნი სასწავლო პროცესში.

## **ინტერვენციები :**

გაანალიზებულ შედეგებზე დაყრდნობით დაიგემა სავარაუდო ინტერვენციების რამდენიმე ვარიანტი.

### **1. დავალების შესრულება მშობლების დახმარებით**

მიზანი: გამეგო რამდენად შეძლებდნენ მშობელთა დახმარებით საშინაო დავალების შესრულებას.

აღწერა: მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობა სწავლა-სწავლების პროცესში. გავაცანი მშობლებს საშინაო დავლების შეფასების რუბრიკა (იხ. დანართი 4) რათა მათთვის თვალსაჩინო გამხდარიყო, რის მიხედვით მოწმდება და ფასდება მოსწავლის საშინაო დავლება.

### **2. ჩანაწერთა დღიურის წარმოება**

მიზანი: ჩანაწერები დაეხმარება მოსწავლე/მასწავლებელს სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენაში.

აღწერა: მოსწავლეები აწარმოებენ დღიურს, სადაც ყოველ შესრულებულ დავლებაზე მასწავლებელი მისცემს წერილობით უკუკავშირს .ეს დაეხმარება მოსწავლეებს თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენაში.

### **3. სხვადასხვა ტიპის დავალებების შესრულება**

მიზანი: ხელს შეუწყობს მოსწავლეებში დამოუკიდებელი უნარების განვითარებას; მაქსიმალურად გამორიცხავს გადაწერის შესაძლებლობას.

აღწერა: მოსწავლეებს ვთავაზობ როგორც ღია/დახურულ დაბოლოებიან დავალებებს . რომელიც მოითხოვს სხვადასხვა სააზროვნო უნარების გამოყენებას.ეს მეხმარება გავარკვიო როგორი ტიპის დავალებების შესრულება უადვილდებათ/უძნელდებათ.

### **4. სადიაგნოსტიკო ტესტები:**

მიზანი: ხელი შეუწყოს სხვადასხვა სააზროვნო უნარების განვითარებას.

აღწერა: ესგ.-დან გამომდინარე შევადგინე სადიაგნოსტიკო ტესტები და მისი მეშვეობით უნდა დამედგინა რამდენად გაუმჯობესდა და ამაღლდა მოსწავლეთა მიერ საშინაო დავალების შესრულების ხარისხი.

## **ინტერვენციების შეფასება**

### **1. დავალების შესრულება მშობლების დახმარებით**

გამოიკვეთა ,რომ მშობელთა ჩართულობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საშინაო დავალების შესრულების ხარისხზე.

- დაგეხმარათ თუ არა მშობლის თანამშრომლობა საკუთარი სუსტი მხარის გაძლიერებაში?
- მოგეწონათ მშობელთა ჩართულობა ?
- გაგიადვილდათ საშინაო დავალების შესრულება მშობელთა დახმარებით?

### **2. ჩანაწერთა დღიურის წარმოება**

მოსწავლეთა მიერ დღიურის წარმოებამ დამანახა მათი ძლიერი და სუსტი მხარეები.

- რაში დაგეხმარა ჩანაწერთა დღიურის წარმოება?
- დაგეხმარებათ საშინაო დავალების შესრულებაში ეს ინტერვენცია?

### **3. სხვადასხვა ტიპის დავალებების შესრულება**

სხვადასხვა ტიპის დავალებების შესრულებამ ხელი შეუწყო მოსწავლეებში დამოუკიდებელი აზროვნებისა და სხვადასხვა სააზროვნო უნარების განვითარებას.

- რა შეგძინათ სხვადასხვა ტიპის დავალებების შესრულებამ?
- თქვენთვის სასურველია ერთფეროვანი თუ მრავალფეროვანი ტიპის დავალებების შესრულება?

### **4. სადიაგნოსტიკო ტესტები**

ინტერვენციის განხორციელებამ დადებითი შედეგები გამოიღო მთელი კლასისთვის. დაკვირვებამ აჩვენა, რომ როგორც წარმატებული, ისე აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლეები ინტერესით მუშაობდნენ საშინაო დავალებების შესრულებაზე და დავინახე, მათი როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეები.

## დასკვნა

2018-2019 სასწავლო წელს სკოლაში განხორციელდა პრაქტიკული კვლევა . აღნიშნული კვლევის მიზანი იყო საშინაო დავალებების შესრულებისას მოსწვლეთა დაბალი შედეგების მიზეზების დადგენა, ანალიზი და მათი გაუმჯობესება.

კვლევის ანგარიშის შექმნამდე გავაცანი საინტერესო და მრავალფეროვან ლიტერატურას ,რათა გამერკვია გამომწვევი მიზეზები და ინტერვენციები დამესახა უკეთესად .ამისათვის გამოვიყენე ისეთი მეთოდები, როგორცაა: ანკეტირება, ფოკუს-ჯგუფი, ფოკუსირებული დაკვირვება გაკვეთილზე. გამოკითხვების შემდეგ, ჩემთვის ნათელი გახდა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება. ეს მიგნებებია

- საშინაო დავალების დოზირება
- მრავალფეროვანი საშინაო დავალება
- თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური ინტერესები და შესაძლებლობები
- მშობელთა ნაკლებად ჩართულობა და ა.შ.

იმისათვის, რომ რობლემა მომეგვარებინა, განვახორციელე შემდგომი ინტერვენციები

- დავალების შესრულება მშობლების დახმარებით
- ჩანაწერთა დღიურის წარმოება
- სხვადასხვა ტიპის დავალებების შესრულება
- სადიაგნოსტიკო ტესტები

ინტერვენციების შეფასებით გამოიკვეთა, რომ მშობელთა ჩართულობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საშინაო დავალების შესრულების ხარისხის გაუმჯობესებაში. ჩანაწერთა დღიურის წარმოებამ და სადიაგნოსტიკო ტესტების გამოყენებამ დამანახა მოსწავლეების ძლიერი და სუსტი მხარეები . სხვადასხვა ტიპის დავალებების შესრულებამ კი ხელი შეუწყო მოსწავლეებში დამოუკიდებელი აზროვნებისა და სხვადასხვა სააზროვნო უნარების განვითარებას. კვლევის დასრულების შემდეგ შევხვდი ჩემს კოლეგებს და გავუზიარე კვლევის შედეგები. კვლევის დროს მივიღე უამრავი ინფორმაცია, რაც დამეხმარება ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის უკეთ წარმართვაში.

## რეკომენდაციები

კვლევის შედეგების გათვალისწინებით, საშინაო დავალების შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოსაფხვრელად შემუშავებული რეკომენდაციები:

საშინაო დავალების შესრულება მოსწავლეს ჩვევაში უნდა გადაეზარდოს, მიუხედავად იმისა, რომ იგი დიდ შრომასა და ძალისხმევას მოითხოვს, ამიტომ აუცილებელია მისთვის შინაგანი და გარეგანი მოტივაციის შექმნა, როგორებიცაა: ცნობისმოყვარეობა, დამოკიდებულება, თავდაჯერებულობა, თვითრეალიზაციის მოთხოვნილება.

აუცილებელია გაკვეთილზე სასწავლო მიზნის განსაზღვრა და შესაბამისად, შედეგზე ორიენტირებული საშინაო დავალების შერჩევა. საშინაო დავალების შერჩევასა და გათვალისწინებული უნდა იქნეს მოსწავლეთა შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები, მრავალფეროვანი და საინტერესო დავალებები. ყურადღება მივაქციოთ საშინაო დავალების რაოდენობას. ის არ უნდა იყოს გადატვირთული, მოსწავლეებს დრო უნდა დარჩეთ სხვადასხვა აქტივობებისთვის. აუცილებელი არ არის ყოველდღიურად დავალების მიცემა. საშინაო დავალება მხოლოდ მაშინ მივცეთ, როცა ვიცით, რომ მას შემდეგ გაკვეთილზე აუცილებლად შევამოწმებთ.

- დავალების შეფასებისას მოსწავლეებს მივცეთ კონსტრუქციული უკუკავშირი /ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა და რეკომენდაციები ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად.
- მოსწავლეებისთვის ცნობილი იყოს ის კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც შევამოწმებთ დავალებას.
- ყოველთვის დავაფასოთ მოსწავლის შრომა, შევუქოთ ძლიერი მხარე და აქცენტი არ გავაკეთოთ მხოლოდ ნაკლოვანებებზე.

## გამოყენებული ლიტერატურა

- ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016 წწ
- მასწავლებელი.ge
- დ.უზნაძე - „განწყობის თეორია“ (თბილისი, 2006 წელი)
- Cooper, Robinson & Patall, 2006; Trautwein, 2007



## რეფლექსია

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის საბაზო საფეხურზე განხორციელებული პრაქტიკული კვლევის ანგარიშს. კვლევის მიზანია, საბაზო საფეხურის კლასებში წერასთან (საშინაო დავალება) დაკავშირებული პრობლემური საკითხების გამოძწვევი მიზეზების შესწავლა.

კვლევა მიმდინარეობდა 2018-2019 სასწავლო წლებში. კვლევის ანგარიშის შექმნამდე გავეცანი საინტერესო და მრავალფეროვან ლიტერატურას, დაკვირვების შედეგად მოვახდინე პრობლემის იდენტიფიცირება და დავსახე გზები ამ პრობლემების შეძლებისდაგვარად აღმოსაფხვრელად. პირველ რიგში, შევიმუშავე კვლევის მეთოდები და შევეცადე მათ პრაქტიკულად განხორციელებას, შევაფასე მათი ძლიერი და სუსტი მხარეები და მდგრადობა. ამავდროულად, პერიოდულად რეკომენდაციებს ვიღებდი ჩემი კოლეგებისგან.

დასასრულს, შევხვდი ჩემს კოლეგებს და გავუზიარე კვლევის შედეგები.

2019 წლის 5 ივნისს შედგა სკოლის პედაგოგიური კოლექტივის შეხვედრა ჩემს მიერ ჩატარებული საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის გაზიარების მიზნით.

თემა: „საბაზო საფეხურზე საშინაო დავალების შეუსრულებლობის მიზეზები და მათი აღმოფხვრის გზები“. პრაქტიკული კვლევის განხორციელების შემდეგ, მიღებული შედეგების გაზიარება საინტერესო ეტაპი აღმოჩნდა როგორც ჩემთვის, ასევე ჩემი კოლეგებისთვის. მასწავლებლის პრაქტიკული კვლევა მნიშვნელოვანია, რადგან ის ხელს უწყობს არსებული პრობლემის შესწავლას, მისი გადაჭრის მეთოდების დანერგავს და კოლეგებისთვის გაზიარებას. კვლევა საინტერესო იყო აგრეთვე იმით, რომ არსებული პრობლემა აქტუალურია ყველა საგანში.

შეხვედრას ესწრებოდნენ სხვადასხვა საგნის მასწავლებლები. მათ საშუალება ჰქონდათ კითხვები დაესვათ და დაეზუსტებინათ მათთვის საინტერესო საკითხები, ამასთანავე იქვე მთავაზობდნენ გზებს, თუ რისი გაკეთება იქნებოდა უკეთესი სურათის კიდევ უფრო სრულყოფისათვის.

პრეზენტაციის დასასრულს, კოლეგებისგან მივიღე უკუკავშირი. უცხო ენის კათედრის გამგეს, ქალბატონ ხათუნა ახალაიას, მოეწონა დღიურის წარმოება მოსწავლეების მიერ, სადაც მასწავლებელი ყოველი შესრულებული საშინაო დავალების შემდეგ დაუწერს მას წერილობით უკუკავშირს. იგი ფიქრობს, რომ ეს მართლაც დაეხმარება მოსწავლეებს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში და გამოიყენებს თავის პრაქტიკაშიც.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა გულიკო სალდაძემ ყურადღება გაამახვილა მშობელთა ჩართულობაზე საშინაო დავალების შესრულების დროს.

მათემატიკის წამყვანმა მასწავლებელმა მიმოზა ჩოგოვაძემ აღნიშნა, რომ აქ წარმოდგენილი ინფორმაცია დაეხმარება საკუთარ პედაგოგიურ საქმიანობაში. აღნიშნული კვლევის განხორციელებით, ლიტერატურის მოძიებითა და კოლეგებთან მუშაობით, რა თქმა უნდა, მეც ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია მივიღე, რაც დამეხმარება ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის წარმართვაში და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებაში.

## დანართი

### დანართი

#### VII კლასის მასწავლებელთა ანკეტირება

1. რა ტიპის დავალებები მოსწონთ მოსწავლეებს?
  - ტესტური
  - მრავალფეროვანი
  - ღია
2. მიგაჩნიათ თუ არა საშინაო დავალება აუცილებელ აქტივობად?
  - დიახ
  - არა
  - ნაწილობრივ
3. რატომ არ ასრულებენ მოსწავლეები საშინაო დავალებას?
  - არ აინტერესებთ
  - ვერ ასწრებენ
  - არ მოსწონთ
4. როგორი ტიპის დავალებებს აძლევთ მოსწავლეებს?

- ტესტური
- ღია
- მრავალფეროვანი

5. როგორ ფიქრობთ, რა ტიპის საშინაო დავალებები უნდა მიეცეთ მოსწავლეებს და რატომ?

---

6. რა აქტივობები უნდა იქნეს გამოყენებული მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად?

---

### VII კლასის მოსწავლეთა ანკეტირება

1. რა სიხშირით ასრულებთ საშინაო დავალებებს?

- ყოველ გაკვეთილზე
- ხშირად
- იშვიათად

2. ეცნობით თუ არა საშინაო დავალების შეფასების რუბრიკებს?

- დიახ
- ხშირად
- იშვიათად

3. გეხმარებათ თუ არა მასწავლებლის უკუკავშირი აკადემიური დონის განსაზღვრაში?

- დიახ
- არა
- ნაწილობრივ

4. ტესტური ტიპის საშინაო დავალებები მომწონს იმიტომ, რომ

- ადვილად ვასრულებ
- უკეთ ვიყენებ გაკვეთილზე მიღებულ ცოდნას
- არ მოითხოვს ბევრ დროს
- ვახერხებ გადაწერას

## VII კლასის მშობელთა ანკეტირება

1.რა ტიპის საშინაო დავალება უნდა მიეცეს თქვენს შვილს გერმანულ ენაში?

- ტესტური
- მრავალფეროვანი
- ორივე

2.ეხმარებით თუ არა თქვენს შვილს საშინაო დავალების შესრულებაში?

- დიახ
- არა
- იშვიათად

3.სისტემატიურად ასრულებს თუ არა თქვენი შვილი საშინაო დავალებას?

- დიახ
- არა
- იშვიათად

4.მიაგჩნიათ თუ არა საშინაო დავალება აუცილებელ აქტივობად?

- დიახ
- არა
- ნაწილობრივ

5.საშიანო დავლების შესრულებისას, მოიძიებს თუ არა თქვენი შვილი დამატებით ინფორმაციას?

- დიახ
- არა
- იშვიათად

**გერმანული ენის გაკვეთილზე საშიანო დავლების შეფასების რუბრიკა**

ინფორმაციის მოძიება

კრიტერიუმები	1-2	3-4	5-6	7-8	9-10
ინფორმაციის მოძიების წყაროები	არ ცდილობს ინფორმაციის მოძიებას	იყენებს მხოლოდ საკუთარ არსებულ ინფორმაციას	იყენებს მხოლოდ სახელმძღვანელოს ინფორმაციას	იყენებს მხოლოდ ერთ საინფორმაციო წყაროს	იყენებს მრავალ ფეროვან საინფორმაციო საშუალებებს.
მოძიებული ინფორმაციის შესაბამისობა	მასალა ძალიან მწირი და გაუგებარია	მასალა არ არის საკითხის შესაბამისი	მასალა ნაწილობრივ შეესაბამება საკითხს, ნაწილობრივ იცის შინაარსი	მასალა ძირითადად შეესაბამება საკითხს, იცის მისი შინაარსი	მასალა სრულად შეესაბამება საკითხს

					და გააზრებ ული აქვს მისი შინაარს ი
მოპოვებ ული ინფორმა ციის ორგანიზ ება (ინფორმ აციის წყაროებ ის ნუსხა, ცხრილებ ის, დიაგრამ ების სახით წარმოდგ ენა და ა.შ)	მასალა საერთოდ არ არის ორგანიზებულ ი	მასალა არ არის სწორად ორგანიზებულ ი	მასალა ნაწილობრივ არის ორგანიზებული	მასალა ორგანიზებულია , მაგრამ რთულად აღსაქმელი	მასალა კარგად და მოსახერ ხებლად აა ორგანი ზებული
მოძიებუ ლი ინფორმა ციის ანალიზი	საერთოდ ვერ აკეთებს ანალიზს	ვერ იყენებს მოძიებულ მასალას მიზნობრივად	ნაწილობრივ იყენებს მოძიებულ მასალას	ძირითადად მიზნობრივად იყენებს მოძიებულ მასალას	მაქსიმა ლურად მიზნობ რივად იყენებს მოძიებუ ლ მასალას